სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/35

ქ. თბილისი 21 ივნისი 2023

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქრისტიანული კულტურის კვლევების ლაბორატორიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მეორე პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ვ. ჯაგოდნიშვილის 2023 წლის 21 ივნისის №0000739633 წერილის, ფაკულტეტის 2023 წლის 19 ივნისის №82 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეიქმნას სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქრისტიანული კულტურის კვლევების ლაბორატორია;
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
   დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით: „ვ) „ქრისტიანული კულტურის კვლევების ლაბორატორია“;
3. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დაემატოს „ქრისტიანული კულტურის კვლევების ლაბორატორიის“ ხელმძღვანელის თანამდებობა და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1500 ლარით;
4. ცვლილებები აისახოს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**